31/01/2024

სსკგ-ის თავმჯდომარე ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარს შეხვდა

2024 წლის 29 იანვარს მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ანტონი, რომელიც მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილეს ლოცვა-კურთხევით სამუშაო ვიზიტით სირიაში იმყოფება, ანტიოქიის და სრულიად აღმოსავლეთის უნეტარეს პატრიარქ იოანე X-ს შეხვდა.

დამასკოს საპატრიარქო რეზიდენციაში გამართულ შეხვედრში ასევე მონაწილეობდნენ რუსეთის ფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სირიის არაბთა რესპუბლიკაში ა.ვ. ეფიმოვი, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის მრჩეველი დეკანოზი ნიკოლოზ ბალაშოვი, სსკგ-ის თავმჯდომარის მოადგილე დეკანოზი იგორ იაკიმჩუკი, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის წარმომადგენელი ანტიოქიის და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქთან არქიმანდრიტი ფილიპე (ვასილცევი) და სსკგ-ის თავმჯდომარის თანაშემწე მღვდელი ალექსანდრე ერშოვი.

შეხვედრის მონაწილეთა შორის იყვნენ აგრეთვე ანტიოქიის საპატრიარქოს წარმომადგენლები: წმინდა სინოდის მთავარი მდივანი, სელევკიის ეპისკოპოსი რომანი; დარაის ეპისკოპოსი მოსე და სერგიოპოლის ეპისკოპოსი იოანე, ასევე, სირიის ყოფილი ელჩი რუსეთში, პროფესორი ხ. რიშეხი.

მოსკოვის საპატრიარქოს დელეგაციისადმი მისასალმებელ სიტყვაში დიდი ანტიოქიის და სრულიად აღმოსავლეთის უნეტარესმა პატრიარქმა იოანე X-მ აღნიშნა, რომ მისი ჩამოსვლა დამასკოში სირიისთვის და მთელი მსოფლიოსთვის არის მძლავრი სიგნალი იმისა, რომ რუსეთი და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია მხარს უჭერს ახლო აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ქრისტიანებს. მან მადლობა გადაუხადა სსკგ-ის თავმჯდომარეს და მისი სახით მთელს რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას სირიასა და ლიბანში ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გაწეული დახმარებისათვის.

თავის მხრივ, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ანტონიმ გულითადი მადლობა გადაუხადა უნეტარეს პატრიარქ იოანეს თბილი მასპინძლობისთვის, რომლითაც გარშემორტყმულია რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაცია სირიაში ყოფნის დროს. სსკგ-ის თავმჯდომარემ მაღალი შეფასება მისცა ანტიოქიის საპატრიარქოს მყარ და პრინციპულ პოზიციას ეკლესიის კანონიკური საფუძვლებისა და მსოფლიო მართლმადიდებლობის ერთობის დასაცავად, რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან მეგობრული კავშირების განსამტკიცებლად და უკრაინაში დევნილი მართლმადიდებელი ქრისტიანების მხარდასაჭერად.

საუბრის პროცესში განიხილეს მართლმადიდებლთაშორისო და საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა აქტუალურ საკითხები, ასევე რუსეთისა და ანტიოქიის მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები. შეხვედრის დასასრულს მხარეებმა ერთმანეთში საჩუქრები გაცვალეს.

ამის შემდეგ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციის წევრებმა მოილოცეს ღირსი პაისის ტაძარი ჯერამანის რაიონში, ხოლო დამასკოში წმინდა იოანე დამასკელის ტაძარი.

იმავე დღეს მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ანტონი შეხვდა რუსეთის ფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს სირიის არაბთა რესპუბლიკაში ა.ვ. ეფიმოვს. შეხვედრაში ასევე მონაწილეობდნენ მოგზაურობაში მიტროპოლიტ ანტონის თანმხლები პირები: მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის მრჩეველი ნიკოლოზ ბალაშოვი, სსკგ-ის თავმჯდომარის მოადგილე დეკანოზი იგორ იაკიმჩუკი, მოსკოვისა

სრულიად

ა სსკგ-ის





mospat.ru/ge